საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 125
(06. 07. 2009 წ.)

სტუ-ში ჩასარიცხი უცხო ქვეყნის მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა შესახებ.
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 51 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

I. სტუ-ში ჩასარიცხად 2009-2010 სასწავლო წლის პირველი სემესტრისათვის უცხო ქვეყნის მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის, აკრედიტაციის შედეგად დადგენილი სტუდენტების რაოდენობის ფარგლებში ფაკულტეტების მიხედვით ადგილები განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით:

- სამშენებლო ფაკულტეტი	5
- ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი	5
- სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი	5
- ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი	5
- სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი	5
- არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი	5
- ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტი	5
- ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი	10

სულ: 45 ადგილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 1 ივნისის №02 ბრძანების მე-3 მუხლის საფუძველზე, სტუ-ს აკადემიური საბჭო ადგენს:

II. სტუ-ში ჩასარიცხად 2009-2010 სასწავლო წლის პირველი სემესტრისათვის, 2008 წლის აგვისტომდე რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისათვის, გადაყვანის და აღდგენის წესით ჩარიცხვისათვის დადგენილი ვაკანტური ადგილების ფარგლებში, ფაკულტეტების მიხედვით ადგილები განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით:

- სამშენებლო ფაკულტეტი	5
- ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი	5
- სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი	5
- ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი	5
- სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი	5
- არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი	5
- ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტი	5
- ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი	5

სულ: 40 ადგილი

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,

პროფესორი ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი,

პროფესორი გ. სალუქვაძე